



კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

აფხაზეთში განვითარებული  
ბოლოდროინდელი მოვლენების მიმართ  
მოსახლეობის დამოკიდებულების  
სოციოლოგიური გამოკვლევა

(პერიოდი: 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერი)

თბილისი, 2001

გამოკვლევა განხორციელდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ინიციატივით, ცენტრის მიმღინარე პროექტის ფარგლებში, ჰოლანდიური ფონდი 'კორდეიდის' ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: გიორგი ხუციშვილი, ცენტრის დირექტორი, ფილოსოფიის მენიერებათა დოქტორი.

ხოციოლოგიური გამოკითხვის შემსრულებელი:  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა  
(კათედრის გამგე პროფესორი ელუარდ კოდუა; დოცენტი იაგო კაჭკაჭიშვილი).

საავტორო უფლებები სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე და უშუალოდ გამომდინარე დასკვნებზე ეკუთვნის კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

გამოკვლევის ნებისმიერი მონაცემების გამოყენების ან პუბლიკაციებში ხსენების დროს საავტორო უფლებების მფლობელის ხსენება აუცილებებია, ხოლო ქვემოთ ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი გადახეჭდვა/გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ საავტორო უფლებების მფლობელისგან წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

**აფხაზეთში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების მიმართ  
მოსახლეობის დამოკიდებულების სოციოლოგიური გამოკვლევა**

### **პერსონალის მეთოდოლოგია**

- ა) სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა;
- ბ) პერსონალის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ, პირისპირ ინტერვიუს ფორმის გამოყენებით;
- გ) პერსონალის საგანი: სოციოლოგიური კვლევა ითვალისწინებდა საქართველოს ურბანული ცენტრების მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლას აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

გამოკვლევამ მოიცვა **შემდეგი** საკითხები:

- საინფორმაციო საშუალებების მიერ აფხაზეთის მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციით კმაყოფილება და მისი სანდოობა;
- აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენების პოლიტიკური შეფასება;
- აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების გზებისადმი დამოკიდებულება;
- ძალოვანი სტრუქტურების ეფექტურობა აფხაზეთის დასაბრუნებლად;
- ხელისუფლების შესაძლო პოზიციების შეფასება ქართველი პარტიზანების მიმართ;
- აფხაზეთიდან დევნილების შესაძლო პოზიციების შეფასება ქართველი პარტიზანების მიმართ;
- აფხაზეთში მოვლენების განვითარების სასურველი სცენარები;
- განსაზღვრული სტრუქტურების და პიროვნებების როლის შეფასება აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით;
- აფხაზების სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი / სტერეოტიპები;
- რუსეთის პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ გაკეთებული განცხადებების მიმართ დამოკიდებულება;
- კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ჯარების ყოფნის მიზანშეწონილობა;
- რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვების მიზანშეწონილობა;
- ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად შუამავლის / მესამე მხარის ჩართვის აუცილებლობა; წარმოდგენა ყველაზე სასურველი მედიატორის შესახებ;
- აფხაზეთში მცხოვრები არაქართველი და არააფხაზი ეროვნებების წარმომადგენლობა პოზიციის შეფასება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში;
- აფხაზეთის სტატუსის სხვადასხვა მოდელების შესახებ შეხედულებები.

**პგლევის ობიექტი:** სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს ურბანული ცენტრების (ქალაქების) მოსახლეობის მასშტაბით. სულ გამოიკითხა საქართველოს **ხუთი ურბანული ცენტრის** (ქალაქის) მოსახლეობა: **თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის** და **ახალციხის.** ქალაქების შერჩევა მოხდა საქართველოს რეგიონების წარმომადგენლობის გათვალისწინებით და პროექტის ინიციატორთა ინტერესების შესაბამისად.

**შერჩევა:** რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა როგორც **კვოტური**, ისე შემთხვევითი შერჩევის პრინციპების დაცვით. კერძოდ, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გათვალისწინებით და შერჩევის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად, გენერალურ ერთობლიობაში მოცემული პროპორციების შესაბამისად წინასწარ განისაზღვრა რესპონდენტთა კვოტები სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, აღნიშნული კვოტების ფარგლებში, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა უახლოესი დაბადების დღის პრინციპი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კვოტას არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდეგ ოჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განისხვავებულად განისაზღვრა თბილისისათვის (ყოველი მე-11 ოჯახი) და დანარჩენი ურბანული ცენტრებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ, რამე მიზეზით, შეუძლებელი იყო ოჯახთან და რესპონდენტთან კავშირის დამყარება, ინტერვიუერს ეკრალებოდა უახლოეს ოჯახთან დაკავშირება და მოძრაობდა ბიჯის დაცვით. ამან უზრუნველყო რესპონდენტთა გაფანტულობა და საკვლევი ურბანული ცენტრების მაქსიმალური მოცვა. დამატებით თბილისისათვის რესპონდენტებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების და უბნების მიხედვით), რამაც გამორიცხა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა.

**გენერალურ ერთობლიობას** წარმოადგენდა შერჩევაში მოხვედრილი ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალციხე) 18 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა. ქვოტები (სქესის და ასაკის მიხედვით) განისაზღვრა თითოეული ქალაქის მოსახლეობაში მოცემული პროპორციების შესაბამისად. თბილისისათვის კვოტები განისაზღვრა რაიონების (სულ 10 რაიონი) მოსახლეობის ზომის გათვალისწინებით.

**შერჩევითი ერთობლიობის** მოცულობა შეადგენდა **1000 რესპონდენტს** თითოეული ქალაქისათვის რესპონდენტთა რაოდენობა განისაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ დაცული ყოფილიყო კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობა.

ცალკე გამოიყო აფხაზეთიდან დევნილების (იძულებით გადაადგილებული პირების) კვოტა – სულ 165 რესპონდენტი. ეს რაოდენობა ქალაქებზე გადანაწილდა დევნილების კომპაქტური ჩასახლების მოცულობის მიხედვით.

საბოლოო ჯამში, შერჩევის სქემა ასე გამოიყურება<sup>1</sup>:

	ქალი						ბავრი						სულ
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+	
ჩუღურეთი	2	3	3	3	3	3	2	2	3	2	2	2	30
გლდანი	3	4	4	5	4	4	3	3	4	3	3	2	42
ნაძალადევი	3	4	4	5	4	5	3	4	4	3	3	2	44
სამგორი	3	4	4	4	4	5	3	3	4	2	3	2	42
დიდუბე	2	3	3	3	3	4	2	3	3	2	2	2	32
ისანი	3	4	4	5	4	5	3	4	4	3	3	2	44
კრწანისი	2	2	2	2	2	3	1	2	2	2	2	1	23
მთაწმინადა	2	2	1	3	2	3	1	2	2	2	2	1	23
საბურთალო	3	4	4	4	3	4	2	3	3	2	3	3	38
ვაბე	2	3	3	4	3	3	2	3	3	2	2	2	32
<b>სულ</b>	<b>25</b>	<b>33</b>	<b>32</b>	<b>38</b>	<b>32</b>	<b>39</b>	<b>22</b>	<b>29</b>	<b>32</b>	<b>25</b>	<b>24</b>	<b>19</b>	<b>350</b>
ქეთაისი	14	20	19	21	18	23	12	16	18	14	13	12	200
ბათუმი	12	18	17	19	16	20	11	14	16	13	13	11	180
ზუგდიდი	10	15	14	16	14	17	9	12	13	11	10	9	150
ახალციხე	8	12	11	13	11	14	7	10	11	8	8	7	120
<b>სულ</b>	<b>44</b>	<b>65</b>	<b>61</b>	<b>69</b>	<b>59</b>	<b>74</b>	<b>39</b>	<b>52</b>	<b>58</b>	<b>46</b>	<b>44</b>	<b>39</b>	<b>650</b>
<b>სულ 5</b>	<b>69</b>	<b>98</b>	<b>93</b>	<b>107</b>	<b>91</b>	<b>113</b>	<b>61</b>	<b>81</b>	<b>90</b>	<b>71</b>	<b>68</b>	<b>58</b>	<b>1000</b>
<b>ქალაქში</b>													

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 27-მა ინტერვიუერმა, რომელთაც აქვთ სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. მათ ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი კითხვარის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მონაცემების ანალიზი:** პირველადი სოციოლოგიური მასალა დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალიზისას გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა მონაცემების დაჯგუფება და ტიპოლოგიზაცია, კორელაციური ანალიზი, რეგრესიული ანალიზი და სხვ.

<sup>1</sup> აღნიშნული სქემა დამუშავებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში არსებული უახლესი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, გამოყენებულია 1999 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების სტატისტიკური მასალები.

## საინფორმაციო საშუალებების შეფასება.

კითხვაზე: «რამდენად გაკმაყოფილებთ ის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ფლობთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ?», რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

№	კმაყოფილების ხარისხი	(%)
1.	საგსებით მაკმაყოფილებს	5.7
2.	უფრო მაკმაყოფილებს, ვიდრე არა	5.6
3.	უფრო არ მაკმაყოფილებს,	22.6
4.	საგსებით არ მაკმაყოფილებს	62.0
5.	მიჰირს პასუხის გაცემა	4.1

- რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (**84.6%**) უკმაყოფილებას გამოთქვამს საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ აფხაზეთის მოვლენების შესახებ.
- საინფორმაციო საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამს დაახლოებით ყოველი მეთე გამოკითხული, ხოლო მცირე ნაწილს გაუჭირდა გამოეხატა საკუთარი პოზიცია. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ საინფორმაციო საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებას აფხაზეთის მოვლენების შესახებ დირებული ინფორმაციით.

### სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:

- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტთა დიფერენციაცია სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, ეროვნების (ქართველი/არაქართველი), სტატუსის (ადგილობრივი მაცხოველებელი/დუკნილი) და ურბანული ცენტრების მიხედვით, არსებით განსხვავებებს არ იძლევა.

შემდეგი კითხვა, რომელიც რესპონდენტებს დაესვათ, ეხებოდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების სანდოობას იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რასაც ისინი აწვდიან საზოგადოებას აფხაზეთის მოვლენების შესახებ (რესპონდენტებს შეეძლოთ დაეხახელებინათ ორი საინფორმაციო საშუალება, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობია):

## საქართველოს ტელევიზია:

Nº	საქართველოს ტელევიზიის არხები	გენდობი უკელაზე მეტად (%)
1.	რუსთავი 2	54.6
2.	I არხი	17.5
3.	მეცხრე არხი	5.0
4.	აჭარის ტელევიზია	2.8
5.	მეორე არხი	2.2
6.	კაგბასია	2.0
7.	«რიონი»	0.8
8.	«ქუთაისი»	0.1
9.	«ოდიში»	0.1
10.	აფხაზეთის ტელევიზია	0.1
11.	«ივერიონი»	0.1
12.	TV25	0.1
<b>არცერთს არ გენდობი</b>		13.2
<b>არ გხარგებლობ</b>		1.4

- სატელევიზიო არხებს შორის, მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით, აშკარად გამოკვეთილ უპირატესობას ფლობს რუსთავი 2.
- შემდეგ, დიდი ჩამორჩენით, მაგრამ დანარჩენ სატელევიზიო არხებთან სერიოზული უპირატესობით, მოდის I არხი.
- სამთავრობო სატელევიზიო არხების (I არხი, მეორე არხი) ნდობის ხარისხი (როგორც ცალკე აღებული, ისე ჯამური მაჩვენებელი) საგრძნობლად ჩამორჩება დამოუკიდებელი ტელეარხის, კერძოდ, რუსთავი 2-ის მონაცემს.
- რეგიონალური სატელევიზიო არხები საგრძნობლად ჩამორჩება ცენრალური ტელევიზიის არხებს. თუმცა, აჭარის ტელევიზია, ამ თვალსაზრისით, შედარებით უკეთ გამოიყურება.
- განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ნდობის უაღრესად დაბალი კოეფიციენტი აფხაზეთის ტელევიზიის მიმართ (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ტელემაუწყებლობა მთელ საქართველოს მოიცავს). ეს მიუთითებს, რომ რესპონდენტები აღნიშნული ტელევიზიის მიერ აფხაზეთის მოვლენების გაშუქებას ტენდენციურად და/ან უხარისხოდ თვლიან.
- საქართველოს ტელეარხების მიმართ სრულ უნდობლობას რესპონდენტთა არცთუ მცირე რაოდენობა გამოთქვამს. ეს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში საერთო უიმედობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

## საქართველოს პრესა:

<b>№</b>	<b>უფრნალ-გაზეთები</b>	<b>ყველაზე მეტად გენდობი (%)</b>
1.	კვირის პალიტრა	15.1
2.	ალია	14.4
3.	რეზონანსი	7.2
4.	ახალი ვერსია	6.8
5.	ახალი თაობა	4.2
6.	ასავალ-დასავალი	3.5
7.	საქართველოს რესპუბლიკა	1.0
8.	სარკე	0.9
9.	თავისუფალი საქართველო	0.8
10.	6 საათზე	0.6
11.	ჯორჯიან-ტაიმსი	0.4
12.	დილის გაზეთი	0.4
13.	შვიდი დღე	0.4
14.	ყოველკვირეული ქრონიკა	0.3
15.	აჭარა (რეგიონალური)	0.3
16.	დრონი	0.3
17.	ეპოქა	0.2
18.	იბერია-სპექტრი	0.2
19.	ახალი გაზეთი	0.1
20.	რეზიუმე	0.1
21.	ახალი გზა	0.1
22.	გზა	0.1
23.	თუთარჩელა	0.1
24.	ოდიში (რეგიონალური)	0.1
<b>არცერთს არ გენდობი</b>		<b>22.6</b>
<b>არ გსარგებლობ</b>		<b>20.0</b>

- საქართველოს პრესის მიმართ უნდობლობის კოეფიციენტი საგრძნობლად მაღალია, როგორც ტელეარხებთან შედარებით, ისე საკუთრივ ამა თუ იმ გაზეთის/უფრნალის მიმართ გამოხატული ნდობის მაჩვენებლებთან შედარებით.
- საგრძნობლად მაღალია, აგრეთვე, იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომელიც საერთოდ არ სარგებლობენ საქართველოში გამომავალი უურნალ-გაზეთებით. ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება პქონდეს: ეკონომიკური გაჭირვება, ინფორმაციის სხვა წყაროების არსებობა (განსაკუთრებით, ტელევიზიის), პრესის მიმართ უნდობლობა და სხვ.
- რესპონდენტთა იმ ნაწილში, რომელიც პრესით სარგებლობს და ნდობას უცხადებს ერთ რომელიმე გაზეთს/უურნალს მაინც, შედარებითი უპირატესობით გამოირჩევა «კვირის პალიტრა» და «ალია». ეს, შესაძლოა, გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, «კვირის

პალიტრის» ინფორმაციული მრავალფეროვნებით, ხოლო, მეორე მხრივ, «ალიას» ტრადიციულად მაღალი რეიტინგით.

- საქართველოს დამოუკიდებელი (თავისუფალი) გაზეთების მიმართ ნდობა გაცილებით დიდია, ვიდრე ოფიციოზის პრესის მიმართ. ეს ხელისუფლებისადმი უნდობლობის ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.
- აშკარად საქართველოს რეგიონული პრესის მიმართ უნდობლობა ცენტრალურ პრესასთან შედარებით. უნდობლობასთან ერთად იკვეთება რეგიონული პრესისადმი ინტერესის არქონა, რასაც მოწმობს მისი უაღრესად მცირე წილი (მხოლოდ ორი გაზეთი) პრესის ჩამონათვალში.

### **რუსეთის ტელევიზია:**

№	სატელევიზიო არხები	ყველაზე მეტად გენდობი (%)
1.	HTB	11.0
2.	PTP	5.7
3.	OPT	5.4
4.	TB 6	2.2
5.	TBC	0.2
6.	PTB	0.2
<b>არცერთს არ გენდობი</b>		<b>45.3</b>
<b>არ გსარგებლობ</b>		<b>29.8</b>

- რუსეთის სატელევიზიო არხების მიმართ უნდობლობა ძალზე მაღალია. ამას განაპირობებს რუსეთის ტელევიზიის, არსებითად, ანტიქართული პოზიცია, რაც განსაკუთრებით აფხაზეთის საკითხის გაშუქებისას ვლინდება.
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი (მესამედზე ოდნავ ნაკლები) არ სარგებლობს რუსეთის ტელეარხებით. ეს, ძირითადად, განპირობებული უნდა იყოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის აღნიშნული არხების ხელმიუწვდომლობით, თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, ზოგადად, რუსეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც.
- რუსეთის ტელეარხებს შორის, ნდობის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად გამოირჩევა HTB. ეს გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნული ტელეარხის შედარებითი ობიექტურობით და არა ზედმიწვნით პრორუსული სულისკვეთებით.

## რუსეთის პრესა:

Nº	რუსეთის გაზეთები	ყველაზე მეტად გენდობი (%)
1.	Аргументы и факты	0.9
2.	Независимая газета	0.7
3.	Комсомольская правда	0.4
4.	Новые известия	0.3
5.	Российская газета	0.2
6.	Северный Кавказ	0.1
7.	Московский комсомолец	0.1
8.	Труд	0.1
<b>არცერთს არ გენდობი</b>	<b>76.6</b>	
<b>არ გხარგებლობ</b>	<b>20.4</b>	

- რუსეთის პრესის მიმართ რესპონდენტები სრულ უნდობლობას გამოთქვამენ. აქაც გადამწყვეტ როლს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უნდა თამაშობდეს, რაც რესპონდენტებში შესაბამის უკურვეაქციას იწვევს.
- საკმაოდ დაბალია რუსეთის პრესით სარგებლობის სიხშირეც. ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება პქონდეს: ეკონომიკური გაჭირვება, უნდობლობა რუსეთის პრესის მიმართ, რუსეთის პრესაში საქართველოს შესახებ მასალების სიმწირე და სხვ.

აღნიშნული საინფორმაციო საშუალებების გარდა, რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ინფორმაციის სხვა ნებისმიერი წყარო, რომელიც მათ ინფორმაციას აწვდის აფხაზეთის მოვლენების შესახებ. რეპონდენტებმა უფრო ხშირად დაასახელებს რადიო – ამ საინფორმაციო წყაროზე მიუთითებს გამოკითხულთა 17.8%. სულ დასახელდა 17 რადიოარხი, მათგან შედარებითი სიხშირით გამოირჩევა: რადიო «ფორტუნა» (1.9%), რადიო «თავისუფლება» (1.7%), საქართველოს რადიო I არხი (1.7%), რადიო2 – ქართული რადიო (1.7%), «ამერიკის ხმა» (1.6%).

რადიოს გარდა, ინფორმაციის წყაროდ რესპონდენტები ასახელებენ ნაცნობ-მეგობრებს (15.4%). ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტები ასახელებენ ისეთ საინფორმაციო საშუალებებს, როგორიცაა აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობა, პარტიზანები, აფხაზეთის დეპუტაცია პარლამენტი, წიგნები და სხვ. თუმცა, ამ წყაროების ხვედრითი წილი ძალზე მცირება და ჯამში ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს.

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (47.1%) აცხადებს, რომ, ტელევიზიის და პრესის გარდა, არ სარგებლობს არც ერთი სხვა საინფორმაციო საშუალებით, ხოლო 20.2% არ ენდობა არც ერთ სხვა წყაროს.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სატელევიზიო არხები წარმოადგენს იმ საინფორმაციო საშუალებას, რომლითაც რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სარგებლობს, ხოლო დიდი უმრავლესობა, სხვა წყაროებთან შედარებით (როდესაც საქმე აფხაზეთის მოვლენების გაშუქებას ეხება), ენდობა კიდეც.

### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება**

საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები გარკვეულ დამოკიდებულებას ავლენს რესპონდენტთა სტატუსთან (ადგილობრივი მაცხოვრებელი/აფხაზეთიდან დევნილი), ეროვნებასთან და ურბანულ ცენტრებთან მიმართებაში:

- ა) აფხაზეთიდან დევნილები უფრო მეტად სარგებლობენ რუსეთის სატელევიზიო არხებით (65.9%), ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებლები (54.1%). სარგებლობასთან ერთად, განსხვავება აღინიშნება ამ სატელევიზიო არხების მიმართ ნდობის თვალსაზრისით (აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით): არ ენდობა აფხაზეთიდან დევნილების 66.2%, ხოლო ადგილობრივი მისახლეობის - 53.5% (პროცენტები დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, რომელიც რუსეთის სატელევიზიო არხებით სარგებლობენ). ნდობასთან დაკავშირებით დაახლოებით იგივე თანაფარდობაა რუსეთის პრესასთან დაკავშირებით, ოდონდ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის პრესით სარგებლობის სის შირე, ტელევიზიასთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია (აფხაზეთიდან დევნილებში სარგებლობს 33.2%, ხოლო ადგილობრივ მაცხოვრებლებში - 22.7%).
- ბ) არაქართველი რესპონდენტები გამოირჩევიან პრესით სარგებლობის დაბალი სის შირით (საქართველოს პრესით სარგებლობს 32.9%, ხოლო რუსეთის პრესით - 20.5%, ქართველებს შორის ეს მონაცემებია 81.4% და 23.6%). ძირითად საინფორმაციო წყაროს არაქართველებისათვის წარმოადგენს საქართველოს ტელევიზია (კერძოდ, რუსთავი 2).
- გ) ურბანულ ცენტრებთან მიმართებაში, ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობასთან დაკავშირებით, კლინდება განსხვავებები, რომელიც შეიძლება მათ მისაწვდომობასთან იყოს დაკავშირებული:
- რუსეთის ტელევიზიით ყველაზე მეტად სარგებლობენ ბათუმის, ახალციხის და ზუგდიდის მაცხოვრებლები (ბათუმელების 83.5%, ახალციხისელების - 82.4%, ხოლო ზუგდიდელების - 79.9%). ამის მიზეზი წმინდა ტექნიკური უპირატესობა: ადნიშნული ქალაქების მკვიდრო უშუალოდ (ხაშუალური საშუალებების გარეშე) მიუწვდებათ ხელი რუსეთის სატელევიზიო არხებზე. შესაბამისად, ამ არხების მიმართ უნდობლობით განწყობილ რესპონდენტთა კველაზე მეტი რაოდენობა ახალციხისელებზე (64.0%), ბათუმელებზე (42.4%) და ზუგდიდელებზე (41.0%) მოდის.
- აფხაზეთის მოვლენების შესახებ სატელევიზიო არხებით გავრცელებული ინფორმაციის ნდობის თვალსაზრისით, რუსთავი 2-ის გამოკვეთილი უპირატესობა იკარგება ქვეთისში (31.7%). აქ მას რეალურ კონკრეტურის უწვეს საქართველოს ტელევიზიის I არხი (33.4%). რაც შეეხება პრესას, რეგიონულ ცენტრებში (ბათუმის გარდა) «კვირის პალიტრის» უპირატესობა აშკარაა. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ დედაქალაქთან შედარებით, რეგიონების ქალაქებში ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ნაცნობ-მეცნობები, ხოლო, დამატებით, ზუგდიდში - ამჟამად აფხაზეთში (ძირითადი, გალის რაიონში) მცხოვრები ქართველი მოსახლეობა.

## 2. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შეფასება

რესპონდენტებს პირისპირ ინტერვიუს პროცესში მიაწოდეს სხვადასხვა დებულება, რომლებიც აფხაზეთში უკანასკნელ ხანს გამწვავებული მოვლენების (პარტიზანული მოძრაობის არეალის გაფართოება, ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებთან აღიანსი, საომარი მოქმედების ესკალაცია და ა. შ.) შეფასებას შეეხება. რესპონდენტებს უნდა განეხსაზღვრათ საკუთარი პოზიცია (დათანხემების ხარისხი) თითოეული დებულების მიმართ:

№	დებულებები	ვეთანხმები (%)	არ ვეთანხმები (%)	მიჭირს პ/გ (%)
1.	აფხაზეთის მოვლენები არის რუსეთის მიერ მოწყობილი მორიგი პროგოკაცია, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტს კიდევ უფრო გააღვივებს;	76.3	12.3	11.4
2.	აფხაზეთის მოვლენები არის საქართველოს სახელისუფლო ძალების მიერ გადადგმული დაუფიქრებელი ნაბიჯი, რომელიც გაართულებს აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას;	61.2	29.2	9.6
3.	აფხაზეთის მოვლენები არის საქართველოს სახელისუფლო ძალების მიერ მოწყობილი ავანტიურა, რომელიც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას კიდევ უფრო გააძნელებს;	43.5	42.8	13.6
4.	აფხაზეთის მოვლენები არის რეალური ბრძოლა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეიძლება მოიტანოს.	28.6	54.8	16.7

- რესპონდენტების დიდი უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ აფხაზეთის ცნობილი მოვლენები პროგოკირებულია რუსეთის მიერ კონფლიქტის კიდევ უფრო გასაღვივებლად. გამოკითხულთა უმრავლესობა იმასაც იზიარებს, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოეგო ამ პროგოკაციაზე და გადადგა არააღექვატური და დაუფიქრებელი ნაბიჯები, რითაც კიდევ უფრო გაართულა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა.

- იმ თვალსაზრისთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის მოვლენები საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული დაუფიქრებელი ნაბიჯი კი არ არის, არამედ, მის მიერ შეგნებულად მოწყობილი ავანტიურა, რესპონდენტთა პოზიციები გაიყო: ერთი ნაწილი (43.5%) აღიარებს, რომ ეს შეგნებული ავანტიურაა, ხოლო თითქმის ამდენივე (42.8%) ასეთ შესაძლებლობას უარყოფს. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის მოვლენების აღნიშნული რადიკალური შეფასება არ არის მყარი და საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის მიმართ აფხაზეთის მოვლენებთან მიმართებაში საზოგადოება ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას არ ავლენს.
- რესპონდენტებს ყველაზე ნაკლებად სჯერათ იმის, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

#### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:**

აფხაზეთის მოვლენების შეფასებაში რესპონდენტთა პოზიციების ცვალებადობა, გარკვეულწილად, დამოკიდებული აღმოჩნდა ეროვნების (ქართველი/არაქართველი), სტატუსის (აფხაზეთიდან დევნილი/აღგილობრივი მაცხოველი) და ურბანული ცენტრების განსხვავებებზე:

- ა) იმ საკითხთან დაკავშირებით, არის თუ არა აფხაზეთის მოვლენები რუსეთის მიერ მოწყობილი პროვინცია, მნიშვნელოვან განსხვავებას იძლევა მხოლოდ რესპონდენტთა დიფერენციაცია ეროვნების (ქართველი/არაქართველი) მიხედვით: არაქართველი ეროვნების წარმომადგენელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეთანხმება ზემოაღნიშნულ პოზიციას და უფრო მეტად თავის შეკავებას ამჯობინებს (იხ. ცხრილი):

ქართველი (%)	არაქართველი (%)
ვეთანხმები	81.6
არ ვეთანხმები	10.1
მიჰირს პასუხიდ გაცემა	8.3
	27.8
	32.5
	39.7

- არაქართველი ეროვნების წარმომადგენელთა ყველაზე მცირე ნაწილი (ქართველებისაგან განსხვავებით) აღიარებს რუსეთის მაპროვოცირებელ როლს აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებთან დაკავშირებით. გამოკითხული არაქართველების ყველაზე დიდი ნაწილი ამ საკითხში თავის შეკავებას ამჯობინებს.
- ბ) საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა აფხაზეთის მოვლენები საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული დაუფიქრებელი ნაბიჯი, განსხვავებული ინტერპრეტაცია ეძღვევა იმის მიხედვით, რესპონდენტი ადგილობრივი მაცხოველებელია, თუ აფხაზეთიდან დევნილი. ადგილობრივი მაცხოველების უმრავლესობა (62.1%) აფხაზეთის სიტუაციას ხელისუფლების დაუფიქრებლობას მიაწერს, ხოლო, იძულებით დევნილების თვალსაზრისი ამასთან დაკავშირებით გაიყო: ერთი ნაწილი (45.3%) აღიარებს საქართველოს ხელისუფლების წინდაუხედაობას, ხოლო მეორე ნაწილს (46.9%) ასეთი

«რბილი» შეფასება არ აქმაყოფილებს. უფრო მეტი: დეკნილთა უმრავლესობა (52.1%) აფხაზეთში მოვლენების ბოლოდროინდელ გართულებას საქართველოს ხელისუფლების ავანტიურად მიიჩნევს. აღვილობრივი მაცხოვრებლების პოზიცია ამ საკითხში ასეთი კატეგორიული არ არის (43.1%).

გ) საქართველოს სახელისუფლო ძალების როლის შეფასებისას, შერჩევაში წარმოდგენილი ყველა სხვა ქალაქისაგან განსხვავებით, **ზუგდიდელები** აფხაზეთში განვითარებულ მოვლენების საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწყობილ გამოზნელ ავანტიურად უფრო მიიჩნევს (57.4%), ვიდრე მის მიერ გადადგმულ დაუფიქრებელ ნაბიჯად (31.8%).

### **3. აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესაძლო გზების მიმართ დამოკიდებულება**

რეპონდენტებს, ინტერვიუს პროცესში, განემარტათ ის შინაარსი, რასაც აფხაზეთის დაბრუნების ორი – მშვიდობიანი და ძალისმიერი – გზა უნდა გულისხმობდეს. მშვიდობიანი გზა მოიცავს მოლაპარაკებების, საერთო ინტერესების გამონახვის და შერიგების პროცესს, ხოლო ძალისმიერი გზა – ომის, შეიარაღებული დაპირისპირების და ძალდატანების მეთოდების გამოყენებას.

შეკითხვაზე: «საქართველოს დღეგანდელი სოციალური და პოლიტიკური ჯითარებიდან გამომდინარე, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისათვის რომელი გზა მიგაჩნიათ პრიორიტეტულად?» – რესპონდენტთა პოზიციები ასე განაწილდა:

№	აფხაზეთის დაბრუნების გზები	(%)
1.	მხოლოდ მშვიდობიანი გზა	36.3
2.	უფრო მეტად მშვიდობიანი გზა	28.7
3.	უფრო მეტად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება	15.1
4.	მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება	16.1
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	3.8

- რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (თითქმის ორი მესამედი, 65.0%) პრიორიტეტს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ანიჭებს. მეტიც: ამ პოზიციის მქონეთა უმრავლესობა **მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას მოითხოვს**.
- გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი პრიორიტეტულად მიიჩნევს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. თუმცა, ამ პოზიციის მქონეთა თითქმის ნახევარი შერბილებულ პოზიციას გამოხატავს და **არ გამორიცხავს** არაძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძალისმიერი მეთოდების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ძირითადად, მოტივირებულია იმ უმძიმესი გამოცდილებით, რომელიც ასეთი მეთოდების გამოყენებას მოუტანია. მართალია, ჯერჯერობით, ვერც მშვიდობიანი გზის გამოყენება იძლევა სასურველ შედეგს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **საზოგადოება ძალის**

გამოყენების უპერსპექტივობას უფრო აღიარებს, ვიდრე - მშვიდობიანი ძეთოდების.

### სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:

- ა) მშვიდობიან და ძალისმიერ მეთოდებს შორის არჩევანი დიდად არის დამოკიდებული რესპონდენტთა სქესობრივ კუთვნილებაზე: ქალების დიდი უმრავლესობა (77.7%) უპირატესობას მშვიდობიან მეთოდებს ანიჭებს, მაშინ როდესაც მშვიდობიანი გზის გამოყენების აუცილებლობას მამაკაცთა 49.0% აღიარებს. მამაკაცების მეორე ნახევარი (47.2%) ძალისმიერ მეთოდებზე ორიენტირდება, მაშინ როდესაც ასეთ ორიენტაციას ქალების მხოლოდ მეცუთედზე ნაკლები (18.5%) იზიარებს.
- ბ) გარკვეულ განსხვავებას ასაკობრივი მაჩვენებლებიც იძლევა: ასაკის მატებასთან ერთად, მცირე ზიგ ზაგებით, მაგრამ მაინც იზრდება მშვიდობიანი მეთოდების მომხრეთა რაოდენობა:

	18-24 (%)	25-34 (%)	35-44 (%)	45-54 (%)	55-64 (%)	65+ (%)
მშვიდობიანი გზა	59.6	65.3	59.1	60.2	67.5	78.1
ძალისმიერი გზა	36.8	32.8	36.0	31.4	30.5	20.3

- გ) თუ რესპონდენტთა დიფერენცირებას კროვნების მიხედვით მოვახდეთ (ქართველი/არაქართველი), აღმოჩნდება მნიშვნელოვანი განსხვავება მშვიდობის და ძალის მომხრე რესპონდენტებს შორის: არაქართველების გამოკვეთილი უმრავლესობა (65.9%) მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენების მომხრეა, მაშინ როდესაც ქართველთა მესამედი ძალისმიერ მეთოდებზე აქცენტირდება (არაქართველებში ძალისმიერ მეთოდებს ემხრობა მხოლოდ 10.9%).
- დ) ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მიმართ მხარდაჭერას გამოხატავს აფხაზეთიდან დაგნოლოთა უმრავლესობა (53.9%). ასეთ პოზიციას ადგილობრივ მაცხოველებელთა 29.8% იზიარებს. აქედან გამომდინარე, რესპონდენტთა სტატუსი გაგლების მქონეა, როდესაც საკითხი აფხაზეთის დაბრუნების გზებს შეეხება.
- ე) ურბანულ ცენტრებთან მიმართებაში განსხვავებას იძლევა მხოლოდ ქალთანის მაცხოველებლები: მათი 61.2% მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას უჭერს მხარს, ხოლო კიდევ 21.7% პრიორიტეტულად მიიჩნევს მშვიდობიანი გზის გამოყენებას.

იმ რესპონდენტებს, რომლებიც აფხაზეთის დასაბრუნებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას არ გამორიცხავენ, შესაძლებლობა ჰქონდათ განესაზღვრათ, ამ უზაპზე, სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურის უვექტურობა აღნიშნული მიზნისათვის:

№	ძალოვანი სტრუქტურები	ეფექტური (%)	არაეფექტური (%)	მიშირს პ/გ (%)
1.	საქართველოს არმია	62.9	32.4	4.7
2.	საქართველოს შინაგანი ჯარები	43.5	51.5	5.1
3.	საქართველოს პოლიცია	20.1	76.2	3.6
4.	ქართველი პარტიზანები	90.3	8.3	1.5
5.	ჩრდილო-კავკასიური შეიარაღებული რაზმები	12.9	78.1	9.1
6.	საერთაშორისო ორგანიზაციების (ნატო და სხვ.) ჯარები	54.8	41.2	4.0
7.	<b>სხვა:</b> მოხალისეები იძულებით გადაადგილებული პირები ყველა ძალა ერთობლიობაში მხედრობი ქურდული სამყარო უკრაინის ჯარები რუსეთის ჯარები	27.8 24.0 19.0 12.0 12.0 3.2 2.1		

- ის რესპონდენტები, რომლებიც პრიორიტეტულად თვლიან ძალის მეშვეობით აფხაზეთის პრობლემის გადწყვეტას, ამ ეტაპზე, ყველაზე ეფექტურად ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევენ **პარტიზანების** გამოყენებას. მეტიც: ეს ძალა, ამ პოზიციის მქონეთა გამოკვეთილი უმრავლესობის აზრით, რეალური კონკურენციის გარეშე დგას («ძალზე ეფექტურია»).
- პარტიზანების გარდა, ძალის გამოყენების მომხრე რესპონდენტთა უმრავლესობა ნდობას უცხადებს, ერთი მხრივ, **საქართველოს არმიას**, ხოლო, მეორე მხრივ, **საერთაშორისო ორგანიზაციების** (ნატო და სხვ.) ჯარებს და მიაჩნია, რომ მათი გამოყენება ეფექტური იქნება კონფლიქტის ზონაში.
- საქართველოს **შინაგანი ჯარების** გამოყენებას რესპონდენტები უფრო არაეფექტურად თვლიან, ვიდრე ეფექტურად. ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს, გამოკითხულთა მიერ, ამ ტიპის ჯარების ფუნქციური შეუსაბამობის გაცნობიერება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.
- სრულიად აშკარაა გამოკითხულთა მხრიდან **ჩრდილო-კავკასიური შეიარაღებული რაზმების** მიმართ **უნდობლობა** და მათი არაეფექტურობის აღიარება. როგორც ჩანს, რესპონდენტებს კარგად ახსოვთ აფხაზეთის ომში ჩრდილო-კავკასიური «ბოევიკების» ანტიქართული და პროაფხაზური ქმედებები, რომელთა კომპენსაციას ვერ ახდენს ამ ძალის ამჟამინდელი ანტირუსული განწყობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, წარსული ქმედებების «მონანიება». რესპონდენტთა დამოკიდებულება, შესაძლებელია, იმითაც აისხებოდეს, რომ ჩრდილოკავკასიულების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში მონაწილეობას ნაკლებად მოტივირებულად თვლიან.
- რესპონდენტები არც საქართველოს **პოლიციის** ეფექტურობას ცნობენ აფხაზეთის დაბრუნების საქმეში. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს,

რომ ამ სტრუქტურას არაადექვატურად თვლიან მსგავსი ფუნქციების შესასრულებლად.

- რესპონძენტებმა ღია კითხვაში საკუთარი სურვილით დაასახელეს სხვა ძალები, რომლებიც ეფექტურად მიაჩნიათ აფხაზეთის ძალისმიერი გზით დასაბრუნებლად. ამ ძალებს შორის შედარებით მაღალი სიხშირით გამოირჩევიან მოხალისეები და აფხაზეთიდან ლტოლვილები.

### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:**

იმ რესპონძენტთა სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის, რომლებიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას უჭერებს მხარს, მხოლოდ რესპონძენტთა სტატუსი და ურბანული ცენტრი იძლევა მნიშვნელოვან განსხვავებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ძალისმიერი სტრუქტურის გამოყენება იქნება ეფექტური ამ ეტაპზე:

- ა) საერთაშორისო ორგანიზაციების (ნაწო და სხვ.) ჯარების მიმართ, ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციის საპირისპიროდ, აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა უარყოფითად არის განწყობილი და ამ ძალებს არაეფექტურად მიიჩნევს (იხ. ცხრილი):

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ნაწო და სხვ.) ჯარები	აფხაზეთიდან დევნილი (%)	ადგილობრივი მაცხოვრებელი (%)
ეფექტური	39.6	56.4
არაეფექტური	56.4	39.6
მიჰირს პასუხის გაცემა	4.0	4.0

მონაცემები აჩვენებს აგრეთვე, რომ აფხაზეთიდან დევნილები, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შედარებით, უფრო აღიარებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ეფექტურობას, რაც, შესაძლოა, მიუთითებს ძალისმიერი გზის მომხრე დევნილების იმედზე, რომ აფხაზეთის დაბრუნება ჩვენს სახელმწიფოს თავისივე ძალებით შეუძლია.

- ბ) ძალისმიერი მეთოდების მომხრეთაგან ქ. ზუგდიდის მაცხოვრებლებს, სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად სჯერათ რომელიმე დასახლებული სტრუქტურის ეფექტურობის. ერთადერთი ძალა, რომლის ეფექტურობასაც ისინი აღიარებენ, ქართველი პარტიზანებია.

4. პარტიზანების მოქმედებებზე ხელისუფლების და აფხაზეთიდან დევნილების შესაძლო რეაქციის, აგრეთვე, კონფლიქტის ზონაში მოვლენების სასურველი განვითარების მიმართ დამოკიდებულება

რესპონძენტებს ინტერვიუს მსგავსი პროცესში მიეწოდათ დებულებები, რომლებიც შეეხებოდა ხელისუფლების შესაძლო რეაქციას პარტიზანების ქმედებებზე. მათ უნდა ამოერჩიათ ის თვალსაზრისი, რომელსაც ყველაზე მეტად ეთანხმებოდნენ:

№	დებულებები	(%)
1.	ხელისუფლებამ კოორდინაცია (მართვა) უნდა გაუწიოს პარტიზანებს და დაქმაროს მათ იარაღით, სურსათით და სხვ.	65.1
2.	ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს პარტიზანების ქმედებებში	10.8
3.	ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს პარტიზანების ქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე	13.1
<b>მიზირს პასუხის გაცემა</b>		11.0

- გამოკითხულთა გამოკვეთილ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ხელისუფლება გვერდში უნდა დაუდგეს ქართველ პარტიზანებს და გაუწიოს მათ ყველანაირი დახმარება.

#### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:**

მნიშვნელოვან განსხვავებებს, ამ საკითხთან დაკავშირებით, იძლევა რესპონდენტთა ეროვნებასთან და სტატუსთან მიმართება:

ა) არაქართველი რესპონდენტების მესამედი (32.9%) მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ქართველ პარტიზანებს უნდა დაქმაროს, თითქმის ამდენივე (31.2%), პირიქით, მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ აღკვეთოს პარტიზანების ქმედები (მაშასადამე, არაქართველი რესპონდენტების აზრი გაიყო, მაშინ როდესაც ქართველების 68.7% ხელისუფლებას პარტიზანების მხარდაჭერას ავალიდებულებს და მხოლოდ 9.6% უარყოფს ამას).

ბ) აფხაზეთიდან დევნილები უფრო აქტიურად მოითხოვენ (77.4%) ხელისუფლების მხარდაჭერას პარტიზანების მიმართ, ვიდრე აღილობრივი მოსახლეობა (64.4%).

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ რესპონდენტების ეს პოზიცია საბრძოლო მოქმედებების მხარდაჭერაზე მიუთითებს კონფლიქტის ზონაში? გამოკითხვის სხვა შედეგები ასეთი დასკვნის გაცეთების საშუალებას არ იძლევა. კერძოდ, როგორც უკვე ვნახეთ, რესპონდენტთა თითქმის ორი მესამედი უპირატესობას მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას ანიჭებს. გარდა ამისა, რესპონდენტთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი (28.9 %) უშვებს, რომ პარტიზანულმა მოძრაობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეიძლება მოიტანოს. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მონაცემები ზემოაღნიშნულ პოზიციას? უნდა ვიფიქროთ, რომ რესპონდენტების მხარდაჭერა პარტიზანების მიმართ უფრო მეტად ემოციურ ხასიათს ატარებს. ის, რომ პარტიზანების მხარდაჭერას რესპონდენტთა სუბიექტური (ემოციური) დამოკიდებულება განსაზღვრავს და არა პარტიზანების საქმიანობის ობიექტური, საბოლოო შედეგებზე გათვალისწინება შეფასება, კიდევ ერთი მონაცემითაც დასტურდება:

შეკითხვაზე: «თუ აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებს მივიღებთ მხედველობაში, პირადად თქვენთვის, რომელი წარმოადგენს მოვლენების განვითარების ყველაზე სასურველ სცენარს (ვარიანტს)?», რესპონდენტთა პოზიციები ასე განაწილდა:

Nº	მოვლენების განვითარების სასურველი სცენარი	(%)
1.	საბრძოლო მოქმედებები უნდა გადაიზარდოს ფართომასშტაბიან შეიარაღებულ შეტევაში აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ	26.4
2.	საბრძოლო მოქმედებები უნდა დარჩეს პარტიზანების დონეზე და არ გადაიზარდოს ფართომასშტაბიან შეტაკებებში	11.6
3.	შეიარაღებული დაპირისპირება საერთოდ უნდა შეწყდეს და გაიმართოს მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებები	59.0
4.	<b>ხედა:</b> - განხორციელდეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ძალისმიერი ზეწოლა - გამოყენებულ იქნას უშიშროების სპეციალურობები - მიჰირს პასუხის გაცემა	0.6 0.5 1.3

- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა კიდევ ერთხელ ავლენს მშეიდობიანი მოგვარებისადმი მიღრეკილებას და მოითხოვს მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად.
- რესპონდენტთა მეოთხედზე ოდნავ მეტი მოითხოვს საბრძოლო მოქმედებების გაფართოებას და ომის მდგომარეობაში გადასვლას. ცხადია, გამოკითხულთა ეს ჯგუფი რესპონდენტთა იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც აფხაზეთში პარტიზანულ მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის რეალურ ბრძოლად მიიჩნევს და ვინც აღიარებს, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად მხოლოდ ან, უფრო მეტად ძალისმიერი მეოთხების გამოყენებაა საჭირო.

## სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:

აფხაზეთის მოვლენების განვითარების სასურველ სცენართან დაკავშირებით მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა რესპონდენტთა სქესთან, ეროვნებასთან, სტატუსთან და, გარკვეულწილად, ურბანულ ცენტრებთან მიმართება:

- ა) ქალების დიდი უმრავლესობა (75.2%) შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტას და მხოლოდ სამშვიდობო მოღაპარაკებების გამართვას მოითხოვს, მაშინ როდესაც მამაკაცების აზრი ამასთან დაკავშირებით გაიყო: ქრონი ნაწილი (41.2%) მიიჩნევს, რომ აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებები ფართომასშეაბიან შეტყვაში უნდა გადაიზარდოს, ხოლო ქორქ დაახლოებით ივივე, ნაწილი (38.3%) შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტის და სამშვიდობო მოღაპარაკებების მომხრეა.
- ბ) არაქართველი რესპონდენტები გაცილებით კატეგორიულები არიან საბრძოლო მოქმედებების აერალგასთან დაკავშირებით (88.4%), ვიდრე ქართველები (55.7%).
- გ) აფხაზეთიდან დევნილები მეტ-ნაკლებად გამოკვეთილად ამჟღავნებები აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული დაპირისპირების გაგრძელების სურვილს (მომხრე 49.4%, მოწინააღმდეგებები - 38.2%), მაშინ როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები სამშვიდობო მოღაპარაკებებზე ორიენტირდებიან (სამშვიდობო სცენარი სასურველია 60.1%-თვის, ხოლო საბრძოლო მოქმედებების გარემავებას მხარს უჭერს მხოლოდ 25.1%).
- დ) ქ. ბათუმის მაცხოვრებლები, სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე მეტად მიიჩნევენ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება უნდა შეწყდეს და პროცესი სამშვიდობო მოღაპარაკებების გზით წარიმართოს (78.1%).

პარტიზანების მიმართ ხელისუფლების შესაძლო დამოკიდებულების გარდა, რესპონდენტებმა განსაზღვრეს, აგრეთვე, ის, თუ რა პოზიცია უნდა დაიკავონ პარტიზანების მიმართ აფხაზეთიდან დევნილებმა:

№	აფხაზეთიდან დევნილების შესაძლო პოზიცია აფხაზეთის მოვლენების მიმართ	(%)
1.	ისინი უნდა შეუერთდნენ პარტიზანებს და იარაღით ხელში იძრძოლონ აფხაზეთის დასაბრუნებლად	43.5
2.	მათ უნდა შეინარჩუნონ ნეიტრალიტეტი	4.6
3.	უნდა მიმართონ პროტესტის მშვიდობიან ფორმებს (პარტიზანების მხარდაჭერის მოთხოვნით, აფხაზეთში დაბრუნების მოთხოვნით და სხვ.)	47.7
მიშირს პასუხის გაცემა		4.2

- რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის (91.2%) აზრით, აფხაზეთიდან დევნილებმა აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ პარტიზანების და, საერთოდ, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების, მიმართ. თუმცა, გამოკითხულთა პოზიციები გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ რაში უნდა გამოიხატოს დევნილების აქტიურობა: ერთი ნაწილი (43.5%) თვლის, რომ დევნილებმა პარტიზანებთან ერთად

უნდა აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები, ხოლო მეორე ნაწილი (47.7%) მხარს უჭერს მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებით აქტიურობას.

- რესპონდენტთა ბალზე მცირე ნაწილი მოითხოვს დევნილებისაგან ნეიტრალიტეტის დაცვას. ეს მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი აზრი დევნილებს განიხილავს, როგორც აფხაზეთში განვითარებული მოვლენების მიმართ პასუხისმგებელ და განსაკუთრებით დაინტერესებულ პირებს, რომელთაც ევალებათ კონკრეტული ქმედებებით უპასუხონ ყველა გამოწვევას.

#### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება:**

როგორც მოსალოდნებლი იყო, პარტიზანების მიმართ აფხაზეთიდან დევნილების პოზიციის შესახებ თვალსაზრისი კორელირებს რესპონდენტთა სქესთან, ეროვნებასთან და სტატუსთან მიმართებაში:

- ა) მამაკაცების უმრავლესობა (57.9%) დევნილებისაგან პარტიზანების მიმართ აქტიურ შეიარაღებულ მხარდაჭერას მოითხოვს, მაშინ როდესაც ქალების უმრავლესობა (58.1%) დევნილებს პროტესტის მშვიდობიანი ფორმების გამართვისაქებ მოუწოდებს.
- ბ) არაქართველთა გამოკვეთილი უმრავლესობა (68.2%) დევნილებს მშვიდობიანი ფორმების გამოყენებისაქებ მოუწოდებს, მაშინ როდესაც ქართველების პოზიცია ამასთან დაკავშირებით გაიყო: ურთი ნაწილი (46.5%) დევნილებისაგან საბრძოლო მოქმედებებში თანადგომას ითხოვს, ხოლო იმდენივე ნაწილი (45.2%) – დევნილებს მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას ავალდებულებს.
- გ) აფხაზეთიდან დევნილების უმრავლესობა (54.8%), მიიჩნევს, რომ ისინი უნდა შეუერთდნენ პარტიზანებს და იარაღით ხელში იბრძოლონ დაკარგული ტერიტორიის დასაბრუნებლად (თუმცა, 37.1% ამის წინააღმდეგია და პროტესტის მშვიდობიან ფორმებს ამჯობინებს). ადგილობრივი მოსახლეობის აზრი, ამასთან დაკავშირებით, ურთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი არ არის, თუმცა, გარკვეული პრიორიტეტი მაინც დევნილების მიერ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას ენიჭება (ასეთი მეთოდების მომხრეა 48.0%, ხოლო საბრძოლო მოქმედებების მომხრეა 37.1%).

**5. გარკვეული პიროვნებების და ორგანიზაციების როლის შეფასება  
აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით**

რესპონდენტებმა ხუთბალიან სკალაზე შეაფასეს სხვადასხვა პიროვნების/ორგანიზაციების როლი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში:

№	პიროვნებები/ორგანიზაციები	დადებითი	უარყოფითი	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	საქართველოს პრეზიდენტი	29.5	59.3	11.2
2.	რუსეთის პრეზიდენტი	14.6	72.1	13.2
3.	საქართველოს მთავრობა	16.6	71.2	12.3
4.	რუსეთის მთავრობა	7.4	78.8	13.8
5.	საქართველოს პარლამენტი	28.6	60.4	11.0
6.	რუსეთის «დუმა»	5.0	79.4	15.6
7.	აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება	32.5	51.6	16.0
8.	აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება	1.3	92.0	6.7
9.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება	38.8	37.4	23.8
10.	თვითგამოცხადებული სამხრეთ რესეთის რესპუბლიკის ხელისუფლება	2.3	65.9	31.8
11.	საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ნატო, ევროკავშირი და სხვ.)	44.5	39.6	16.0
12.	საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები	39.6	29.6	30.8
13.	აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები	8.1	42.0	50.0

**შენიშვნა:** აქ წარმოდგენილ მონაცემებში სკალის პუნქტები «ძალზე დადებითო» და «უფრო დადებითი, კიდრე უარყოფითი» გაერთიანდა ერთ შეფასებად – «დადებითი, იგივე მოხდა «უარყოფითი» შეფასებასთან დაკავშირებით.

- ჩამოთვლილ ორგანიზაციებს თუ პიროვნებებს შორის, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად დადებით შეფასებას მისცემდნენ. ასეთი დამოკიდებულება განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ დღემდე არც ერთი ორგანიზაციის თუ პიროვნების აქტივობამ

სასურველი შედეგი ვერ გამოიდო და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში პოზიტიური შედეგები არ ჩანს.

- აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაში, რესპონდენტებმა, სხვებთან შედარებით, ყველაზე დადებითი როლი მიანიჭეს **საქართველოს ორგანიზაციებს** და **საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს**. ამ ორგანიზაციების საქმიანობის დადებითად შემფასებლებს გარკვეული უპირატესობა აქვთ უარყოფითად განწყობილებთან მიმართებაში (ეს განსაკუთრებით ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს). თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას, აღნიშნული სტრუქტურების მიმართ დადებითი განწყობა, ძირითადად, განპირობებული უნდა იყოს ამ სტრუქტურათა ერთმნიშვნელოვანი პოზიციით, მშვიდობიანი ხერხების გამოყენების უალტერნატივობის შესახებ.
- სხვების ფონზე, დადებითად ფასდება, აგრეთვე, **აჭარის ავტონომიური ოჯებუბლიერის ხელისუფლების ძალისხმევა**. თუმცა, ამ სტრუქტურას მხოლოდ ოდნავ მეტი დადებითი შემფასებელი ჰყავს, ვიდრე უარყოფითი. ეს მიუთითებს, რომ აჭარის ხელისუფლების საქმიანობა აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაში რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს იმსახურებს (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბათუმის მაცხოვრებელთა გამოკვეთილი უმრავლესობა (66.4%) აჭარის ხელისუფლების როლს დადებითად აფასებს).
- რესპონდენტთა მიერ უარყოფითად შეფასებულ სტრუქტურებს შორის გამოირჩევა **აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება და რუსეთის უველა პოლიტიკური-სახელისუფლო ძალა** (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი). ასეთი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივია იმ ფონზე, როდესაც დასახელებული პიროვნებები თუ ორგანიზაციები აშკარად თუ ფარულად მხარს უჭერენ აფხაზურ სეპარატიზმს.
- საქართველოს სახელმწიფო-სახელისუფლო სტრუქტურებს შორის, ზოგადი უარყოფითი შეფასების ფონზე, ყველაზე მეტად «ზარალდება» **საქართველოს მთავრობა**, შემდეგ მოდიან **საქართველოს პარლამენტი** და **საქართველოს პრეზიდენტი**. უარყოფითი შეფასების ასეთი გადანაწილება იმით უნდა აიხსნას, რომ მთავრობას, როგორც აღმასრულებელ ორგანოს, ყველაზე მეტად მოეთხოვება ქმედითი და რეალური დონისძიებების გატარება კონფლიქტის დასარეგულირებლად. (მთავრობაში, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის აპარატიც იგულისხმება). ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთავრობა საკუთარ თავში სხვადასხვა სტრუქტურას მოიცავს, რომლებიც ავტონომიური (დამოუკიდებელი) მოქმედების მნიშვნელოვან ხარისხს ფლობს. რაც შეეხება პარლამენტს, მისი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მიმართ პრეტენზიები, მთავრობასთან შედარებით, რამდენადმე შერბილებულია.
- საგულისხმოა, რომ **აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების** საქმიანობის უარყოფითად შემფასებლები გაცილებით აჭარებს დადებითად განწყობილ რესპონდენტებს. ლოგიკური იქნება ეს იმ გარემოებას დაუკავშიროთ, რომ აღნიშნული ხელისუფლება, წლების

განმავლობაში ოფიციალურად აცხადებს, რომ აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთ რეალურ გზად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება მიაჩნია. რესპონდენტთა უმრავლესობის უარყოფით დამოკიდებულებას, შესაძლოა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ამგვარი პოზიციის მიზანშეუწონლობის და უპერსპექტივობის აღიარება განაპირობებს.

- **თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების როლის გამოკვეთილად უარყოფითი შეფასება გამოწვეული უნდა იყოს თავად ოსური სეპარატიზმის არსებობით, რაც, რესპონდენტთა მიერ, აღნიშნული ხელისუფლების მიერ აფხაზური სეპარატიზმის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების აშკარა ინდიკატორად აღიქმება.**
- **აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ რესპონდენტთა ნახევარი კერანაირ დამოკიდებულებას ვერ გამოხატავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ამ ორგანიზაციების საქმიანობას ნაკლებად იცნობენ. თუმცა, რესპონდენტთა მეორე ნახევარი, რომელიც მეტ-ნაკლებად გაცნობილია ამ ორგანიზაციებს, ერთმნიშვნელოვნად უარყოფით შეფასებას გამოხატავს. შესაძლოა, გამოკითხულთა აზრით, თვით არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი აფხაზეთში სეპარატისტული ხელისუფლების დანამატს წარმოადგენს.**

### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება**

საკითხის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს განხაზღვრული პიროვნებების/ორგანიზაციების როლი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, განხაზღვრულ დამოკიდებულებას ამტლავნებს რესპონდენტების ეროვნებასთან, სტატუსთან და სქესთან მიმართებაში:

- ა) არაქართველი რესპონდენტები, ქართველებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად უარყოფითად აფასებენ რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურების მოღვაწეობას აფხაზეთის პრობლემის მოხატვარებლად (*იხ. ცხრილი*):

რუსეთის ხელისუფლება	ქართველი		არაქართველი			
	დადებით ი (%)	უარყოფითი (%)	მიჭირს პ/გ (%)	დადებითი (%)	უარყოფითი (%)	მიჭირს პ/გ (%)
რუსეთის პრეზიდენტი	12.8	76.1	11.0	30.9	35.5	33.6
რუსეთის მთავრობა	6.5	82.5	11.0	15.3	44.5	40.1
რუსეთის «დუმა	4.3	82.3	13.4	11.7	52.5	35.8

- ბ) აფხაზეთიდან დევნილები უფრო მეტად გამოიქვამდენ რადიკალურად უარყოფით შეფასებას თითქმის ყველა დასახელებული სტრუქტურის თუ

პიროვნების მიმართ, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვებლები. ოუზბეკი, ასევთი განსხვავების ფონზე, მაინც გამოირჩევა შემდეგი სტრუქტურები/პიროვნებები (იხ ცხრილი):

<b>სტრუქტურები/პიროვნებები</b>	<b>აფხაზეთიდან დეგნილი</b>	<b>ადგილობრივი მაცხოვებელი</b>
	<b>ძალზე უარყოფითი (%)</b>	<b>ძალზე უარყოფითი (%)</b>
საქართველოს პრეზიდენტი	61.1	38.8
საქართველოს მთავრობა	63.1	46.7
საქართველოს პარლამენტი	60.7	41.2
აფხაზთის ლეგისტრი	44.3	32.3
ხელისუფლება		
საერთაშორისო	38.9	23.1
ორგანიზაციები (გაერო, ნაწო, ეკროკავშირი და სხვ)		
აფხაზთის ტერიტორიაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები	46.7	34.0

გ) მამაკაცები თითქმის ყველა სტრუქტურის/პიროვნების შეფასებაში უფრო უარყოფითად არიან განწყობილნი, ვიდრე ქალები.

## **6. რესპონდენტთა სტერეოტიპები აფხაზების მიმართ (აფხაზების სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი)**

რესპონდენტებს ინტერვიუს მსვლელობაში შესთავაზეს ურთიერთსაპირისპირო თვისებების (სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების) წყვილები, რომელთა საფუძველზე მათ უნდა დაეხასიათებინათ აფხაზები. ურთიერთსაპირისპირო თვისებები განლაგდა ხუთბალიან სკალაზე, როგორც სკალის უკიდურესი პუნქტები (1 და 5): ციფრი 1 გაუიგივდა უკიდურესად უარყოფით შეფასებას, ხოლო ციფრი 5 – უკიდურესად დადებით შეფასებას. სკალის დანარჩენი პუნქტები შეესაბამებოდა ასეთ დახასიათებას: ციფრი 2 – უფრო მეტად უარყოფითი მახასიათებელი; ციფრი 4 – უფრო მეტად დადებითი მახასიათებელი, ციფრი 3 – ნეიტრალური შეფასება (არც დადებითი, არც უარყოფითი).

საბოლოო ჯამში, თვისებათა თითოეულ წყვილთან დაკავშირებით, განისაზღვრა საშუალო მაჩვენებლები:

თვისებათა წყვილი	1 (%)	2 (%)	3 (%)	4 (%)	5 (%)	მიჭირს პ/გ	საშუალო მაჩვენებელი
<b>სეპარატისტი/არასეპარატისტი</b>	33.3	17.8	25.1	7.4	5.5	10.9	<b>2.3</b>
<b>თვისებათა წყვილი</b>	<b>1 (%)</b>	<b>2 (%)</b>	<b>3 (%)</b>	<b>4 (%)</b>	<b>5 (%)</b>	<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>საშუალო მაჩვენებელი</b>
<b>აგრესიული/ნაციონალისტი/პატრიოტი</b>	<b>44.0</b>	<b>18.8</b>	<b>16.8</b>	<b>7.4</b>	<b>6.2</b>	<b>6.8</b>	<b>2.1</b>
<b>თვისებათა წყვილი</b>	<b>1 (%)</b>	<b>2 (%)</b>	<b>3 (%)</b>	<b>4 (%)</b>	<b>5 (%)</b>	<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>საშუალო მაჩვენებელი</b>
<b>უსამართლო/სამართლიანიბისათვის მებრძოლი</b>	<b>48.4</b>	<b>19.9</b>	<b>16.5</b>	<b>5.3</b>	<b>2.3</b>	<b>7.6</b>	<b>1.8</b>
<b>თვისებათა წყვილი</b>	<b>1 (%)</b>	<b>2 (%)</b>	<b>3 (%)</b>	<b>4 (%)</b>	<b>5 (%)</b>	<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>საშუალო მაჩვენებელი</b>
<b>ტერორისტი/ანტიტერორისტი</b>	<b>30.8</b>	<b>15.0</b>	<b>24.7</b>	<b>8.5</b>	<b>6.0</b>	<b>15.1</b>	<b>2.3</b>
<b>თვისებათა წყვილი</b>	<b>1 (%)</b>	<b>2 (%)</b>	<b>3 (%)</b>	<b>4 (%)</b>	<b>5 (%)</b>	<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>საშუალო მაჩვენებელი</b>
<b>აგრესიული/მშვიდობისმოყვარე</b>	<b>50.7</b>	<b>18.0</b>	<b>16.9</b>	<b>5.5</b>	<b>3.1</b>	<b>5.9</b>	<b>1.9</b>
<b>თვისებათა წყვილი</b>	<b>1 (%)</b>	<b>2 (%)</b>	<b>3 (%)</b>	<b>4 (%)</b>	<b>5 (%)</b>	<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>საშუალო მაჩვენებელი</b>
<b>ქართველების მოძულებულების ქართველების მოყვარული</b>	<b>51.2</b>	<b>18.8</b>	<b>19.4</b>	<b>4.0</b>	<b>2.4</b>	<b>4.2</b>	<b>1.8</b>

- რესპონდენტის სტერეოტიპები აფხაზების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიმართ ძალის უარყოფითია ყველა დასახელებულ თვისებასთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება აფხაზების მიმართ ყალიბდებოდა კონფლიქტის განვითარების წლების განმავლობაში და განსაკუთრებით გამძაფრდა

- აფხაზეთის ომის და ომისშემდგომი პერმანენტული დაბაბულობის პირობებში. უარყოფითი სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი მას-მედიამ და სხვა სტრუქტურებმაც (მაგ., აფხაზეთის ფაქტობრივმა და ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ) შეასრულა.
- საერთო უარყოფითი დამოკიდებულების ფონზე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა აფხაზების დახასიათება როგორც უსამართლოების, ქართველთმოძღვლების და აგრესიულების. ცხადია, რომ აღნიშნული სტერეოტიპების დაძლევის გარეშე აფხაზეთის საკითხის საბოლოო დარეგულირება ვერ მოხდება.

### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება**

აფხაზების მიმართ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები იცვლება რესპონდენტთა ეროვნებასთან, სტატუსთან და, გარკვეულწილად, ურბანულ ცენტრებთან მიმართებაში:

ა) არაქართველი ეროვნების წარმომადგენლები შედარებით «რბილად» (ნაკლებად უარყოფითად) ახასიათებენ აფხაზებს, ვიდრე ქართველები. თუმცა, თავისთავად აღებული, არაქართველების დამოკიდებულება აფხაზებისადმი მაინც ნებატიურ განხორცილებაშია (იხ. ცხრილი):

<b>საშუალო მაჩვენებლები</b>	<b>სტერეოტიპები</b>	<b>ქართველი</b>	<b>არაქართველი</b>
სეპარატისტი/არასეპარატისტი		2.2	2.5
აგრესიული ნაციონალისტი/პატრიოტი		2.0	2.7
უსამართლო/სამართლიანობისათვის მებრძოლი		1.8	2.6
ტერორისტი/ანტიტერორისტი		2.3	2.7
აგრესიული/მშვიდობისმოყვარე		1.8	2.5
ქართველების მოძულე/ქართველების მოყვარული		1.8	2.2

ბ) აფხაზეთიდან დაგვილი რესპონდენტები უფრო უარყოფითად ახასიათებენ აფხაზებს, ვიდრე აღგილობრივი მაცხოვებლები. თუმცა, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება, ცალკე აღებული, მაინც უარყოფითა (იხ. ცხრილი):

<b>საშუალო მაჩვენებლები</b>	<b>სტერეოტიპები</b>	<b>აფხაზეთიდან დევნილი</b>	<b>ადგილობრივი მაცხოვებელი</b>
სეპარატისტი/არასეპარატისტი		1.7	2.3
აგრესიული ნაციონალისტი/პატრიოტი		1.8	2.1
უსამართლო/სამართლიანობისათვის მებრძოლი		1.4	1.9
ტერორისტი/ანტიტერორისტი		1.9	2.4
აგრესიული/მშვიდობისმოყვარე		1.6	1.9
ქართველების მოძულე/ქართველების მოყვარული		1.5	1.8

გ) შერჩევაში წარმოდგენილი ურბანული ცენტრების მიხედვით, რესპონდენტთა დამოკიდებულება აფხაზების მიმართ ასე განაწილდა (იხ ცხრილი):

საშუალო მაჩვენებლები	სტერეოტიპი	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	ზუგდიდი	ახალციხე
სეპარატისტი/არასეპარატისტი		2.2	2.4	2.4	2.2	1.5
აგრესიული		2.1	2.0	2.2	2.3	1.4
ნაციონალისტი/პატრიოტი						
უსამართლო/სამართლიანობისა		1.9	1.7	1.8	1.7	1.5
თვის მებრძოლი						
ტერორისტი/ანგრიტერორისტი		2.3	2.5	2.8	2.1	2.0
აგრესიული/მშვიდობისმოყვარე		1.9	1.7	2.1	1.7	1.3
ქართველების		1.9	1.9	1.6	1.7	1.3
მომულე/ქართველების						
მოყვარული						

მონაცემები აჩვენებს, რომ ქალაქ ახალციხის მაცხოვრებლები აფხაზების მიმართ გაცილებით უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ, ვიდრე სხვა ქალაქების მცვიდრნი. შესაძლოა, ეს აიხსნება იმით, რომ ახალციხის მაცხოვრებლები სამცხე-ჯავახეთში სეპარატიზმის საშიშროებას ითვალისწინებენ და თავიანთ დამოკიდებულებას აფხაზების მიმართ სომხური სეპარატიზმის განხორცილებაში აღიძვამენ.

## 7. აფხაზეთის პრობლემის მიმართ რუსეთის პოლიტიკის შეფასება

რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების მიმართ უფრო რაციონალური პოზიცია დაიკავა, ვიდრე ჩვეულებრივ, რამაც აფხაზეთის კონფლიქტის სამართლიანი დარეგულირების შესაძლებლობა გააძლიერა. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მზად არის გააუქმოს გუდაუთის სამხედრო ბაზა და რუსეთის სამშვიდობო ძალები გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის ხელისუფლების ზოგადი პოზიცია იმის შესახებ, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთის კონფლიქტს განიხილავს, როგორც საქართველოს საშინაო პრობლემას.

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეხატათ თავიანთი პოზიცია რუსეთის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განცხადებების მიმართ. კითხვაზე: «მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს განცხადებები ხელს შეუწყობს აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას?», რესპონდენტებმა ასე უპასუხეს:

1. მიმაჩნია – 36.1 %
2. არ მიმაჩნია – 43.5 %
3. მიჰირს პასუხის გაცემა – 20.4 %

- გამოკითხულთა უფრო დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტის განცხადებები ნდობას არ იმსახურებს და კონფლიქტის გადაწყვეტაში პოზიტიურ როლს ვერ ითამაშებს. რესპონდენტთა სკეპტიკიზმი, შესაძლოა, განპირობებულია იმ დაპირებების შეუსრულებლობით, რასაც რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის კონფლიქტის მთელ პერიოდში ღიად გამოთქვამდა და რასაც ზიანის და იმედგაცრუების გარდა არაფერი მოუტანია.
- მეორეს მხრივ, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მესამედზე მეტი) იმდინარებს რუსეთის პრეზიდენტის დაპირებებს და მას ნდობას უცხადებს.
- არცთუ უმნიშვნელოა იმათი რიცხვი (ყოველი მეხუთე გამოკითხული), ვისაც უჭირს ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას. ასეთი გაურკვევლობა ისევ რუსეთთან ურთიერთობაში მიღებული უარყოფითი გამოცდილების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

თუ აღნიშნულ საკითხს სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართებაში განვიხილავთ, აღმოჩენდება, რომ მნიშვნელოვან განხხავებებს მხოლოდ **ერთგნების** ცვლადთან მიმართება იძლევა: არაქართველი რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა (62.1%) მიესალმება რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებს და მათ ხელშემწყობლების ფაქტორად აცხადებს აფხაზეთის კონფლიქტის მოხაგარებლად (ასეთ პოზიციას არ იზიარებს 13.9%, ხოლო პასუხის გაცემა უჭირს 24.1%-ს). ქართველების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არსებითად განხხავებულია: რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებს იმდინარებ უკურებს 33.3%; კეისიმისტურად – 46.8%, უჭირს პასუხის გაცემა 20.0%-ს.

**რუსეთის სამშვიდობო ძალების** მიმართ გამოკითხულთა პოზიციები და, საერთოდ, მათი დამოკიდებულება სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნისადმი, ასეთ სურათს იძლევა:

№	რუსეთის და სხვა სამშვიდობო ძალების მიმართ დამოკიდებულება	ვეთანხმები (%)
1.	რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია და არც ერთი სხვა მესამე ძალის სამშვიდობოდ გამოყენება საჭირო არ არის	29.0
2.	რუსეთის სამშვიდობო ძალები უნდა ჩანაცვლდნენ სხვა, კონფლიქტის მოგვარებაზე ორიენტირებული სართაშორისო ძალებით.	29.0
3.	რუსეთის სამშვიდობო ძალები უნდა ჩანაცვლდნენ ქართულ-აფხაზური ერთობლივი ძალებით	27.6
4.	რუსეთის სამშვიდობო ძალების უოფნა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით აუცილებელია	8.3
99.	მიჭირს პასუხის გაცემა	6.1

- რესპონდენტები ცალსახად უარყოფენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის აუცილებლობას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ძალების შეიდწლიან დისლოკაციას კონფლიქტის ზონაში ხელშესახები დადებითი შედეგები არ მოუტანია და, ხშირ შემთხვევაში, თავად წარმოადგენდა კონფლიქტის ესკადაციის პროცესირების წერტილს.
- გამოკითხულთა უმრავლესობა (56.6%) ერთსულოვანია იმ თვალსაზრისით, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების გამოყენება აუცილებელია. თუმცა, მათი პოზიციები გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იქნეს გამოყენებული ასეთი ძალების სახით. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სამშვიდობო ფუნქცია უნდა დაეკისროს საერთაშორისო ძალებს, ხოლო, მეორე ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული ფუნქციის შესრულება უნდა უზრუნველყონ კონფლიქტის უშუალო მონაწილეებმა – ქართულ-აფხაზურმა ძალებმა.
- რესპონდენტთა არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა (29.0%) საერთოდ მიზანშეუწოდლად მიიჩნევს მესამე ძალის ჩარგვას თუნდაც სამშვიდობო მიზნების განსახორციელებლად. როგორც ჩანს, რესპონდენტთა ეს ნაწილი ნებისმიერი სამშვიდობო ძალის მიმართ სრულ უნდობლობას იჩენს.

#### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება**

საკითხი სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილების და ხებიერების შეხახებ კორელირებს რესპონდენტთა ეროვნების და სტატუსის ცვლადებთან:

- a) რესპონდენტთა სხვა კატეგორიებთან შედარებით, ყველაზე მეტად არაქართველები თვლიან, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნა აფხაზეთის ტერიტორიაზე აუცილებელია (26.7%). შეხაბამისად, ყველაზე მცირე ნაწილი (10.9%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აღნიშნულმა ძალებმა უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია და არც ერთი სხვა ძალის გამოყენება საჭირო არ არის (ქართველების პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, დიამეტრალურად განსხვავებულია: რუსეთის ძალების ყოფნის აუცილებლობას აღიარებს 6.3%, უარყოფს – 31.0%). არაქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი (41.2%) არ გამორიცხავს რუსეთის ძალების ჩანაცვლების შეხაძლებლობას სხვა ძალებით, თუმცა, ქართველების განწყობა, ამ პოზიციის მხარდასაჭერად, გაცილებით მყარია (58.2%). აღსანიშნავია, რომ ქართველების ნაწილი რუსეთის კონტინენტის საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების მიმართ უფრო მაღალია (30.0%), ვიდრე არაქართველების (19.6%).
- b) აფხაზეთიდან დეკნილოთა შორის ყველაზე მეტი მხარდაჭერი ჰყავს (42.5%) პოზიციას, რომ რუსეთის ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა ჩანაცვლდება ქართულ-აფხაზური ძალებით (აღგილობრივ მოსახლეობას შორის ასეთ პოზიციას იზიარებს 26.7%, ოდნავ მეტი ნაწილი (29.0%) კი უპირატესობას საერთაშორისო ძალებს ანიჭებს).

შემდეგი საკითხი, რომელსაც რესპონდენტებმა უპასუხეს, რესენტის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვებას ეხებოდა. კითხვაზე, რამდენად შეუწყობს ხელს რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვება აფხაზეთის პრობლემის კონსტრუქციულ გადაწყვეტას? – რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (68.8%) დადებითად პასუხობს; ეს პოზიცია არის აფხაზეთის კონფლიქტი რუსეთის როლის მიმართ რესპონდენტთა უარყოფითი დამოკიდებულების კიდევ ერთი გამოვლინება. რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის შენარჩუნებას ემხრობა მხოლოდ 14.3%. სავარაუდოა, გამოკითხულთა ეს ნაწილი შიშობს, რუსები თუ ბაზას დატოვებენ, ის სეპარატისტული მთავრობის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს, ან ბაზის გაყვანას შეძლება სიტუაციის დესტაბილიზაცია მოყვეს. გამოკითხულთა 16.9%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. როგორც ჩანს, რესპონდენტთა ამ კატეგორიისათვის აფხაზეთის კონფლიქტი გუდაუთის ბაზის როლი, ან მისი გაყვანის შედეგები გაურკვეველია.

**რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვების მიმართ რესპონდენტები განსხვავებულ პოზიციებს ამჟღავნებენ იმის მიხედვით, თუ რომელი ეროვნების და სტატუსის წარმომადგენლები არიან:**

- არაქართველი რესპონდენტების უმრავლესობას (70.3%) ან უჭირს აღნიშნულ საკითხზე პოზიციის გამოხატვა (36.9%), ან მიაჩნია, რომ რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვება კონფლიქტის გადაწყვეტას ხელს არ შეუწყობს (33.4%). ქართველების პოზიცია დიამეტრალურად განსხვავებულია: 73.1% თვლის, რომ გუდაუთის ბაზის დატოვება რუსეთის მიერ აუცილებელია კონფლიქტის მოსაგვარებლად (ასეთ პოზიცია უარყოფს 12.2%, ხოლო, 14.7%-ს უჭირს პასუხის გაცემა).
- აფხაზეთიდან დევნილების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო რადიკალურია, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებლების: დევნილების 84.2% აფხაზეთის პრობლემის კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის მოითხოვს რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვებას (ადგილობრივ მცხოვრებლთა შორის ასეთი პოზიცია აქვს 67.9%-ს).

## 8. შუამავლის როლის შეფასება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში

შეკითხვაზე: «როგორ მიგაჩნიათ, ქართველებმა და აფხაზებმა სხვების ჩაურევლად (შუამავლის გარეშე) უნდა იმუშაონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად, თუ კონფლიქტი მესამე მხარის ჩარევის გარეშე გვრ გადაიჭრება?» – რესპონდენტთა პოზიციები ასე ნაწილდება:

- შუამავლის გარეშე – 67.0%
- მესამე მხარის მონაწილეობით – 30.5%
- მიჭირს პასუხის გაცემა – 2.5%

- რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა უარს ამბობს **მეხარის ჩარევაზე** და მიაჩნია, რომ ქართველებს და აფხაზებს შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა გაარკვიონ დამოუკიდებლად. როგორც ჩანს, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სხვა ძალა ყოველთვის საკუთარი ინტერესებით შემოდის ორი დაპირისპირებული მხარის ურთიერთობაში და ამიტომ არასანდოა.
- რესპონდენტთა არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეამავლის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას აღიარებს. რაც შეეხება იმას, **თუ ვინ უნდა შეასრულოს შეამავლის ფუნქცია,** რესპონდენტთა აღნიშნული ნაწილი შემდგა ქვეყნებს/სტრუქტურებს გვთავაზობს:

№	შეამავლი ქვეყნები/სტრუქტურები	(%)
1.	რუსეთი	22.5
2.	გაერო	18.3
3.	აშშ	13.5
4.	უკრაინა	9.4
5.	ნატო	9.3
6.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება	5.0
7.	ნებისმიერი საერთშორისო ორგანიზაცია	3.4
8.	აზერბაიჯანი	1.6
9.	ევროკავშირი	1.5
10.	თურქეთი	0.9
11.	უეთო	0.8
12.	გერმანია	0.4
13.	ინგლისი	0.1
<b>99.</b>	<b>მიჰირს პასუხის გაცემა</b>	<b>13.3</b>

**შენიშვნა:** პროცენტები დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან (30.5%), რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეამავლის მონაწილეობას აღიარებს.

- რესპონდენტები შეამავლის ფუნქციის შესასრულებლად, საერთო ჯამში, უბირატესობას **ანიჭებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს** (ერთად აღებული, 33.3%). თავის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის წამყვან პოზიციას იკავებს გაერო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რესპონდენტების მიერ გამოკითხვის პროცესში არაერთგზის გამჟღავნებულ ნდობას საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.
- იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც შეამავლის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს, ადსანიშნავია ის ადგილი, რაც რესპონდენტებმა **რუსეთს** მიუჩინეს. ხომ არ მოდის ეს წინააღმდეგობაში გამოკითხვის სხვა, ადრე აღნიშნულ შედეგთან, რომლის თანახმადაც რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის საჭიროებას აფხაზეთის ტერიტორიაზე? ამ შემთხვევაში

არავითარ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე, მათ შორის, წმინდა **სტატისტიკური** თვალსაზრისით: დასახელებული პროცენტი (22.5%) დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, რომელიც შუამავლის აუცილებლობას აღიარებს. რესპონდენტთა მთელ რაოდენობასთან თანაფარდობაში რუსეთის შუამავლობის მომხრე რესპონდენტების ხვედრითი წილი შეადგენს 6.9%-ს. ეს რაოდენობა ახლოსაა იმ რესპონდენტთა რიცხვთან (8.3%), რომელიც რუსეთის სამშვიდობი ძალების აფხაზეთში ყოფნას მხარს უჭერს.

- რესპონდენტები გარკვეულ მხარდაჭერას მოელიან **დასავლეთის ქვეყნებისაგან**, რომელთა შორის ყველაზე მეტად ფიგურირებს **აშშ**. ეს ამერიკის მხრიდან საქართველოს პრობლემებით დაინტერესებისა და აფხაზეთის პრობლემის მიმართ თანმიმდევრული პოზიციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.
- დსო-ს ქვეყნებს შორის, რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილმა ნდობა გამოუცხადა მხოლოდ **უკრაინას და აზერბაიჯანს**. მათი შერჩევა ბუნებრივად მოჩანს ამ ორ ქვეყნასთან კარგი ურთიერთობების ფონზე.

საკითხი იმის შესახებ, საჭიროებს თუ არა შუამავლს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ვინ უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია, არ კორელირებს არცერთ სოციალურ-დემოგრაფიულ ცვლადთან.

## **9. აფხაზეთში მცხოვრები არაქართველი და არააფხაზი ეროვნებების წარმომადგენლების პოზიციის შეფასება**

რესპონდენტებს შესაძლებლობა მიეცათ შეეფასებინათ აფხაზეთში მცხოვრები არაქართველი და არააფხაზი ეროვნებების წარმომადგენლების პოზიცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში:

№	ეროვნება	საქართველოსთვის სასარგებლო	ნეიტრალური (%)	საქართველოსთვის საზიანო	მიჭირს პ/გ (%)
1.	რუსები	3.1	30.0	54.9	12.1
2.	სომხები	2.0	17.5	69.0	11.6
3.	ბერძენები	4.4	46.2	26.9	22.5

- რესპონდენტთა აზრით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები არც ერთი სხვა ეროვნება **საქართველოსთვის სასარგებლო პოზიციას არ იკავებს**. ამ თვალსაზრისით, მათ მიმართ გამოთქმული შეფასებები დაახლოებით თანაბარია.
- რაც შეეხება იმას, თუ რომელი სხვა ერის წარმომადგენლებმა შეასრულეს აღნიშნულ კონფლიქტში საქართველოს ინტერესებისათვის **საზიანო როლი**, რესპონდენტებმა, ყველაზე მეტად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ **სომხებზე** მიუთითეს. გამოკითხულთა

- უმრავლესობა აღიარებს, აგრეთვე, **რუსი ეროვნების** წარმომადგენლების საქართველოსთვის საზიანო ქმედებებს. სომხების მიმართ მსგავსი პოზიცია განპირობებული უნდა იყოს იმ ანტიქართული აქციებით, რასაც ისინი მიმართავდნენ ქართველების წინააღმდეგ (საკმარისია გავისხვნოთ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ქმედებები ფრონტის ხაზზე, ქართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ვანდალიზმის არაერთი შემთხვევა ზურგში და სხვ.). რაც შეეხება რუსებს, საფიქრებელია, რომ ისინი, რესპონდენტთა მიერ, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრძელის და აფხაზური სეპარატიზმის მხარდამჭერებად მოიაზრებიან.
- გამოკითხულები ყველაზე ლოიალურნი აღმოჩნდნენ აფხაზეთში მცხოვრები **ბერძნების** მიმართ. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ბერძნებს აფხაზეთის ომში ნეიტრალიტეტის დაცვას მიაწერს.

### **სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართება**

აფხაზეთში მცხოვრები არაქართველი და არააფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა როლის შეფასება არსებით მიმართებას ავლენს რესპონდენტთა ეროვნებასთან, ხოლო გარკვეულ მიმართებაშია რესპონდენტთა სქესთან და სტატუსთან:

- ა) არაქართველი რესპონდენტების პოზიცია აფხაზეთში მცხოვრები რუსების და სომხების როლის ნეიტრალური შეფასებისაქნ იხრება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, მათი როდენსაც ქართველი რესპონდენტები აღნიშნულ ეროვნებებს ქართველებისათვის საზიანო პოზიციას მიაწერენ (იხ. ცხრილი):

<b>რუსები</b>	<b>ქართველი (%)</b>	<b>არაქართველი (%)</b>
საქართველოსთვის სასარგებლო	2.7	6.0
ნეიტრალური	28.4	44.8
საქართველოსთვის საზიანო	58.8	18.7
მიჭირს პასუხის გაცემა	10.1	30.5
<b>სომხები</b>		
საქართველოსთვის სასარგებლო	1.8	3.6
ნეიტრალური	15.1	39.1
საქართველოსთვის საზიანო	74.4	19.5
მიჭირს პასუხის გაცემა	8.7	37.8

- ბ) აფხაზეთში მცხოვრები სომხების როლს გაცილებით უარყოფითად აფასებენ მამაკაცები (80.0%), კიდრე ქალები (60.3%).
- გ) აფხაზეთიდან დევნილების აბსოლუტური უმრავლესობა (91.1%) აფხაზეთში მცხოვრები სომხების პოზიციას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აფასებს როგორც ქართველებისათვის საზიანოს. აღილობრივი მაცხოვრებლები, ამ თვალსაზრისით, ხაკლებად კატეგორიულნი არიან (67.7%).

## 10. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ

რესპონდენტებს ასე წარმოუდგენიათ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი მომავალში:

№	აფხაზეთის სასურველი პოლიტიკური სტატუსი	(%)
1.	დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით	0.3
2.	საქართველოსთან კონფედერაციულ საწყისებზე მყოფი	1.9
3.	ავტონომიური რესპუბლიკის სახით საქართველოს შემადგენლობაში, გაფართოებული უფლებებით	52.1
4.	აფხაზეთს უნდა მიეცეს მხოლოდ კულტურული ავტონომია	12.7
5.	ყოველგვარი ავტონომიის გარეშე საქართველოს შემადგენლობაში	29.8
99.	მიჭირს პასუხის გაცემა	3.2

- რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, აფხაზეთს უნდა მიეცეს პოლიტიკური ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში, თანაც, გაფართოებული უფლებებით. ამ შემთხვევაში, რესპონდენტთა თვალსაზრისი ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების პოზიციას. ასეთი მიღვიმა მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხულთა ეს ნაწილი აღიარებს აფხაზი ერის თვითმყოფადობას და პატივს სცემს მათი თვითგამორკვევის უფლებას.
- რესპონდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მხარს უჭერს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ჩართვას ყოველგვარი ავტონომიის გარეშე. საფიქრებელია, რომ რესპონდენტთა ეს ნაწილი გადიზიანებულია აფხაზური სეპარატიზმით, ან თავად წარმოადგენს ამ კონფლიქტის შედეგად უშუალოდ დაზარალებულს (როგორც ცნობილია, რესპონდენტთა გარეგებული ნაწილი აფხაზეთიდან დევნილები და ზუგდიდის მოსახლეობაა). აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა მათში კონფლიქტის გაგრძელებასთან ასოცირდება, ყველა თანმდევი მძიმე შედეგით. არსებითად, ამავე მოტივაციით შეიძლება აიხსნას გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილის მიერ აფხაზეთისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭების სურვილიც. რესპონდენტთა ბოლო ორი კატეგორია თუ ერთ განზომილებაში გავაერთიანეთ, როგორც აფხაზეთისათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების მოწინააღმდეგებეთ, მათი საერთო რიცხვი 42.5% აღწევს.

საკითხის აფხაზეთის ხტატუსის შესახებ არ იძლევა არსებით განსხვავებებს რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრებთან მიმართებაში. საჭიროა მხრივ აღინიშნოს, რომ არაქართველი რესპონდენტები შედარებით გამოკვეთილად უჭერენ მხარს (63.2%) აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას (გაფართოებული უფლებებით). მართალია, ქართველებს შორისაც ამ პოზიციას წამყვანი აღვიდი უკავია (50.4%), მაგრამ მნიშვნელოვანი რაოდენობა (31.2%) მხარს უჭერს აფხაზეთისათვის ყოველგვარი პოლიტიკური ავტონომიის გაუქმებას. ასეთ რადიკალურ პოზიციას არაქართველთა მხრივ 17.5% იზიარებს.

## ძირითადი დასკვნები

- რესპონდენტებს არ აკმაყოფილებთ საინფორმაციო საშუალებების მიერ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქება. ინფორმაციის წყაროებს შორის ყველაზე პრიორიტეტულს, როგორც სარგებლობის, ისე ნდობის თვალსაზრისით, წარმოადგენს საქართველოს ტელევიზია. რაც შეეხება კონკრეტულ სატელევიზიო არხებს, რესპონდენტთა შორის გამოკვეთილი ნდობით სარგებლობს რუსთავი 2-ის მიერ აფხაზეთის თემაზე გავრცელებული ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით, უნდობლობის მაღალი ხარისხით გამოიჩინა მთლიანად რუსეთის პრესა და რუსეთის ტელევიზია. მართალია, რესპონდენტები საქართველოს პრესას, ზოგადად, ენდობიან, თუმცა, ნდობის მაღალ კოეფიციენტს კონკრეტულად არც ერთი გაზეთი ან ჟურნალი არ ფლობს.
- აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რესპონდენტთა უმრავლესობა რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ პროვოკაციად მიიჩნევს. საქართველოს ხელისუფლების როლი ამ მოვლენებში არაერთმნიშვნელოვნად ფასდება: ერთი ნაწილი აფხაზეთის მოვლენებს საქართველოს ხელისუფლების დაუფიქრებელ ნაბიჯს მიაწერს, ხოლო მეორე ნაწილი – შეგნებულ ავანტიურას. რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენები კონფლიქტის მოგვარებას კიდევ უფრო გაართულებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას არ წაადგება.
- რესპონდენტები აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის, ამ ეტაპზე, პრიორიტეტულად მიიჩნევენ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას (შესაბამისად, აღიარებენ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების უპერსპექტივობას). მშვიდობიანი მეთოდებისადმი მიღრეკილება კიდევ უფრო იზრდება ქალებს, ადგილობრივ მოსახლეობასა (დევნილებთან მიმართებაში) და არაქართველებს შორის. აფხაზეთიდან იძულებით დევნილები საერთო სურათს აღდგევენ: მათი უმრავლესობა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.
- ის რესპონდენტები, რომლებიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირდებიან, მთავარ დასაყრდენს პარტიზანებში ხედავენ. ამ შეუფის რესპონდენტები აღიარებენ, აგრეთვე, საქართველოს არმიის და საერთაშორისო ორგანიზაციების (ნატო და სხვ) ჯარების ეფექტურობას. სრულიად აშკარაა რესპონდენტთა მიერ ჩრდილო-კავკასიელი შეიარაღებული რაზმების, აგრეთვე, საქართველოს პოლიციის, გამოყენების უპერსპექტივობის აღიარება. ძალისმიერი მეთოდების მომსრე აფხაზეთიდან დევნილები საერთო სურათს რამდენადმე აღდგევენ: დევნილთა შორის, პარტიზანების მიმართ

კიდევ უფრო გამორჩეული ნდობის ფონზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ უნდობლობა შეიმჩნევა.

- რესპონდენტები საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის ზონაში პარტიზანების დახმარებისაკენ მოუწოდებენ. ეს უფრო პარტიზანების მიმართ ემოციური მხარდაჭერის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე შეიძრაღებული კონფლიქტის გაფართოების მოთხოვნად. ამის საფუძველს იძლევა რესპონდენტთა უმრავლესობის კატეგორიული პოზიცია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიძრაღებული დაპირისპირება საერთოდ შეწყდეს და გაიმართოს მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებები. მოვლენების განვითარების ასეთ სამომავლო სცენარს იზიარებს აფხაზეთიდან დევნილების მხოლოდ გარკვეული ნაწილი. უფრო დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი), პირიქით, შეიძრაღებული დაპირისპირების გაგრძელების მომხრეა.
- რესპონდენტები დეგნილებისაგან ქართველი პარტიზანების მიმართ აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვენ. მხარდაჭერაში ერთი ნაწილი შეიძრაღებულ თანადგომას გულისხმობს, ხოლო, მეორე ნაწილი – პროტესტის მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას. თავად დეგნილები (აგრეთვე, მამაკაცები) აქცენტს შეიძრაღებულ დახმარებაზე აკეთებენ, მაშინ როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები (აგრეთვე, არაქართველები და ქალები) აფხაზეთიდან დეგნილებს მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას ემხრობიან.
- რესპონდენტები ვერ გამოყოფენ ვერცერთ ორგანიზაციას ან პიროვნებას, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად დადებით როლს მიანიჭებდნენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში. მეტნაკლებად დადებითი დამოკიდებულება მუდავნდება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ნატო, ევროკავშირი და სხვ.) და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. თუმცა, აფხაზეთიდან დეგნილებს შორის ეს სტრუქტურებიც კარგავენ პოზიტიურ შეფასებას. რესპონდენტთა მიერ უარყოფითად შეფასებულ სტრუქტურებს შორის გამოირჩევა აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და რუსეთის ყველა სახელისუფლო ძალა (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი).
- რესპონდენტთა თვალით დანახული აფხაზების სოციალურ-ფინანსურული პორტრეტი მხოლოდ უარყოფით განზომილებაში მოძრაობს. აფხაზებს, პირველ რიგში, ახასიათებენ როგორც უფრო მეტად უსამართლოებს, ქართველთმოძულებებს, აგრესიულებს, აგრეთვე, როგორც სეპარატისტებს, აგრესიულ ნაციონალისტებს და ტერორისტებს. ეს სტერეოტიპები ძალაშია რესპონდენტთა ყველა კატეგორიისათვის, თუმცა, შედარებით მძაფრდება აფხაზეთიდან დეგნილებს, ხოლო, «რბილდება» – არაქართველ რესპონდენტებს

შორის (საერთოდ, არაქართველი ეროვნების რესპონდენტების მოვლენათა ხედვა და შეფასება, უმეტეს შემთხვევაში, თავისებურია).

- რესპონდენტები ნაკლებად ენდობიან რუსეთის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განცხადებებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ და თვლიან, რომ ეს განცხადებები ხელს არ შეუწყობს აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას. ამასთან ერთად, რესპონდენტები უარყოფენ რუსეთის სამშვიდობო ჯარების ყოფნის აუცილებლობას აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა, აღიარებენ, რომ რაიმე სამშვიდობო ძალის ყოფნა ჯერ-ჯერობით აუცილებელია და მოითხოვენ, რომ რუსეთის ჯარები ჩანაცვლდეს საერთაშორისო, ანდა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო კონტინგენტით (ამ უკანასკნელ ვარიანტს განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილები უჭერენ მხარს). რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ ლოიალურად მხოლოდ არაქართველი რესპონდენტების უმრავლესობაა განწყობილი, თუმცა, არც ისინი გამორიცხავენ სხვა ძალებით ჩანაცვლების შესაძლებლობას.
- აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ოლის მიმართ რესპონდენტთა უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენს ისიც, რომ ისინი დადებითად უყურებენ რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვებას და აღიარებენ, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს აფხაზეთის პოლიტიკის კონსტრუქციულ გადაწყვეტას. ასეთ პოზიციას არ იზიარებს არაქართველების უმრავლესობა. ყველაზე კატეგორიულად რუსეთის მიერ გუდაუთის ბაზის დატოვებას აფხაზეთიდან დევნილები მოითხოვენ.
- რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქართველებმა და აფხაზებმა სხვების ჩაურევლად უნდა იმუშაონ კონფლიქტის მოსაგვარებლად, გამოკითხულთა იმ ნაწილს, რომელიც მესამე მხარის ჩარევას მოითხოვს, ყველაზე მისაღებად საერთაშორისო ორგანიზაციები მიაჩნია (განსაკუთრებით, გაერო).
- რესპონდენტების უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი და არააფხაზი ეროვნებების წარმომადგენლებს საქართველოსთვის სასარგებლო პოზიცია აქვთ. მეტიც: გამოკითხულები რუსებს და, განსაკუთრებით, სომხებს საქართველოსთვის საზიანო ოლის მიაწერენ (აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებს მეტ-ნაკლებად ნეიტრალური პოზიცია დაუფიქსირდა). სომხების ნეგატიურ როლზე განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილები მიუთითებენ. რაც შეეხება არაქართველ რესპონდენტებს, ყველა დასახელებულ ეროვნებას ისინი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ნეიტრალური პოზიციის მქონედ მიიჩნევენ.

- აფხაზეთისათვის ყველაზე შესაფერის პოლიტიკურ სტატუსად რესპონდენტები ასახელებენ ავტონომიურ რესპუბლიკას – გაფართოებული უფლებებით – საქართველოს შემადგენლობაში.
-